პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
ოთხშაბათი, 27 აგვისტო 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 583 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 19
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

მივაქციოთ ყურადღება გაზეთს.

ამხ. ამხ. პოლიტ-მომუშავეების და ყველა წითელ არმიელების საყურადღებოდ.

ჩვენი გაზეთი საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ მას ესა თუ ის ნაკლი მაინც აქვს, რაც სასწრაფოთ გამოსწორებას თხოულობს. ჩვენი გაზეთი, როგორც მისი სახელწოდება გვეუბნება, უნდა ემსახურებოდეს ქართული წითელი ჯარის ყოფა-ცხოვრებას. გაზეთი მიუდგომლად, ნამდვილი ამბებით უნდა აშუქებდეს წითელი არმიელების და ნაწილების ყოველ დღიურ ჭირ-ვარამს, კარგს და ცუდ მხარეებს. გაზეთი მოკლე და გასაგები ენით უნდა ესაუბრებოდეს მკითხველს წითელ ჯარზე. **გაზეთი სარკეა, სადაც ჩვენ უნდა დავინახოთ ჩვენი სახე, ჩვენი საქმიანობა თუ უსაქმობა. გაზეთი კულტურული, შეგნებული და განვითარებული ადამიანისათვის ყველაზე უმაღლესი სამსჯავრო და სასამართლოა.**

ვინც გაზეთს ანგარიშს არ უწევს, მას ყურადღებას არ აქცევს, **ის ბნელი და უვიცია.**

როდის და როგორ შევსძლებთ ჩვენ იმას, რომ ჩვენი გაზეთი „წითელ არმიელი" ერთ საქებ და სადიდებელ გაზეთად გადაიქცეს და რომ მის წაკითხვა ყველას უნდოდეს?

ეს სულ ადვილი საქმეა, მხოლოდ ამისათვის ამხანაგ წითელ არმიელების მხრივ მეტი ყურადღებაა საჭირო. ამას ესაჭიროება მასიური თანამშრომლობა, ესეიგი გაზეთში ყველა წერა-კითხვის მცოდნე წითელ არმიელებმა უნდა სწერონ. არის ნაწილები, საიდანაც იშვიათად მოდის წერილები და იჩენენ, საზოგადოთ, გაზეთისადმი გულგრილობას. და თუ მოდის წერილები რედაქციას, უმეტეს შემთხვევაში ისინი ეხებიან ყველაფერს, გარდა ნაწილის ცხოვრებისა.

რა სჭირია და რა უფრო უნდა იწერებოდეს წითელ არმიელის გაზეთში?

აი რა: როგორ მიდის წერა-კითხვის სწავლების საქმე ნაწილში, როგორ ასწავლის მასწავლებელი, ერთგულობს თუ ზარმაცობს, როგორია პური, და თუ ცუდია, ვინ არის ამის მიზეზი, რა ხთება სამნეო დარგში, როგორ ტარდება პოლიტსაათი, არის თუ არა უფშემადგენლობასთან პოლიტიკური მეცადინეობა და თუ არ არის რატომ, როდესაც ეს სამაცადინო პროგრამაში შედის. როგორაა ლენინის კუთხე მოწყობილი და რა აკლია მას, თუ გაზეთი დროზე არ მოვიდა ნაწილში, რატომ და ვინ იყო დამნაშავე, ცნობათა ბიუროდან საინტესო პასუხები, წითელ არმიელთა ოჯახების შეღავათთა კანონების გაშუქება, მორალური მდგომარეობა ნაწილის, კულტურულ—განმანათლებელი საქმიანობა და სხვა, აი, რით უნდა ავავსოთ გაზეთი და რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება.

იმ ნაწილიდან, რომლიდანაც რედაქცია ვერ მიიღებს საჭირო მასალას. უთუოთ, იმ ნაწილის მეთაური, სამხედრო კომისარი და პოლიტხელები არ ვარგან, რისთვისაც ისინი არა თუ საყვედურის ღირსი იქნებიან, არამედ დასჯისაც. ზედმეტი ბარგია ის კომისარი და პოლიტხელი, რომელიც გაზეთზე არ ზრუნავს და არ სწერს.

თუ ვინმეს კიდევ ახალი რამ უნდა შეიტანოს ჩვენი გაზეთის ცხოვრებაში ან და რაიმე არ მოსწონს, ის ამხანაგური წერილით ამხანაგ რედაქტორს უნდა შეეკითხოს ,ამხანაგური რჩევა უნდა მისცეს. ასე რომ, გაზეთში მუშაობით და წერით პროპაგანდის გაძლიერება ქართულ წითელი ჯარის რიგებში გადაუდებელ მუშაობათ უნდა გადავაქციოთ.

რედაქციას უნდა გაუწიოთ ყოველმხრივი დახმარება.

აი ყველა პოლიტ-უფშემადგენლობის და ყველა წერა-კითხვის მცოდნე წითელი არმიელების სადღეისო გადაუდებელი ამოცანა.

ამხანაგური სალამით
თენგიზ ჟღენტი.

სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი.

სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს ბიუჯეტს უწოდებენ.

მის სისწორით შედგენას დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაც უფრო სახელმწიფო ღონიერია, მით უფრო ადვილია შემოსავალ-გასავლის შედგენა. ასეთი შედგენა ხდება ყოველ წლიურად.

მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და საზოგადოთ შემოსავალ-გასავლის შედგენა, ჯერ-ჯერობით კარგ სურათს იძლევა.

საბჭოთა კავშირმა უკვე მიახწია იმ მდგომარეობას, როდესაც მისი მანეთი მკვიდრია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასელმწიფოს არ დასჭირდება აუარება ქაღალდის ნიშნების მოჭრა, ეს თავის მხრივ კვლავ ფულის გამკვიდრებას მოასწავებს და ასე ამნაირად საბჭოთა კავშირი ეკონომიურად ღონიერდდება, მკვიდრდება.

რაც უფრო შეძლებულადაა სახელმწიფო, მით უფრო მეტი ყურადღებით შეუძლია მას მოექცეს სოფლის ჭირ-ვარამს.

ჩვენს სოფლებში კი ბევრს შემთხვევაში არა გვაქვს სკოლა, საავადმყოფო; არ გვივარგა გზები, აი მუშათა მთავრობაც შესძლებს ამის გაკეთებას, თუ კარგი შემოსავალ-გასავალი ექნა.

ამიტომ თვითეული პატიოსანი მოქალაქე უაღრესად დაინტერესებულ უნდა იქნას სახელმწიფოს ხარჯთ აღრიცხვით.

თვითეული გროში უნდა იქნეს ბოჭნიერად და მოფიქრებით დახარჯული.

ნაკლები ხარჯი და ბევრი სარგებლობა,—აი რა უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც საზოგადო საქმეში მონაწილეობას იღებს.

გარდა ამისა სახელმწიფოს კარგი ხარჯთ—აღრიცხვა წითელ ჯარს უშუალოდაც აინტერესებს.

რაც უფრო ღონიერი იქნება მთავრობა ქონებრივად, მით უფრო მეტი ყურადღების მოქცევა შეუძლია მას ჩვენზე, მეტი ყურადღების მოქცევით ჩვენ მეტს შევიძენთ; მეტი შეძენით მეტი გვეცოდინება; მეტი ცოდნით კი უფრო კარგად ვიცხოვრებთ და უფრო კარგად მოვაწყობთ ჩვენს საქმეს.

სახელმწიფოს გამაგრებისათვის არა მარტო ის კმარა, რომ ჩვენ ბოჭნიერნი ვიყვეთ.

საჭიროა აგრეთვე სათანადოთ ჩატარება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის.

ეს გადასახადი დიდი შემოსავლის წყაროა. დროზე შევიტანოთ ჩვენ მას ხაზინაში, დროზე შეუძლია მუშათა ხელისუფლებას დახმარება გაგვიწიოს, დავაგვიანებთ—დაიგვიანებს ჩვენი საქმეების გაკეთებაც.

ამიტომ ვალდებულნი ვართ ვეცადოთ, რაც შეიძლება დროზე და მთლიანად შევიტანოთ გადასახადი.

ნუ დავივიწყებთ, რომ მუშურ-გლეხურ ხაზინისათვის ერთი გროშიც დიდ თანხას წარმოადგენს.

პ.

ინგლისის პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის კონფერენცია.

კვირას დასრულდა ინგლისის მემარცხენე პროფკავშირთა უმცირესობის კონფერენცია,

მიღებულ იქნა რეზოლიუციები ფაბრ.-ქარხნების კომიტეტების დაარსების, პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოდ გადაქცევის შესახებ ადგილებში და სხ.

პოპლიტმა შეიტანა რეზოლიუცია უმცირესობის მოძრაობის ორგანიზაციის შესახებ. პროგრამა შეიცავს შემდეგ ამოცანებს:

უნდა შეკავშირდეს მუშები დიდ-ბრიტანეთის კაპიტალიზმის დასამარცხებლად და სოციალისტურ წესწყობილების დასამყარებლად, წარმოებულ უნდა იქნას ფართო აგიტაცია-პროპანდა არსებულ მუშათა ორგანიზაციებში, რათა მათ მიიღონ უმცირესობის პროგრამა; დაჭერილ იქნა ვიწრო კავშირი პროფინტერნთან და წარმოებულ იქნას მუშაობა ერთიანი, საერთაშორისო პროფმოძრაობის სასარგებლოდ.

დადგენილების თანახმად კონფერენცია ყოველწლიურად ირჩევს აღმასკომს, რომელიც იქნება მთავარი ხელმძღვანელი კონფერენციიდან კონფერენციამდე.

პროგრამა მიღებულ იქნა მხურვალე ტაშის ქვეშ.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე სასტიკი რეზოლიუცია დოუესის გეგმის წინააღმდეგ.

აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ტომ მანი.

კონფერენციაზე გამოვიდენ სიტყვით ძმურ კავშირთა დელეგატები ლარკინი, ბუკი და მიულლერი (ირლანდიიდან, კანადიდან და ჩეხოსლოვაკიიდან.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ.

ნდობა ერიოს მთავრობას.

სიტყვების საპასუხოდ ლონდონის კონფერენციის შესახებ ერიომ განაცხადა, რომ ის აუცილებლად ხედავს მოკავშირეთა და გერმანიის დაახლოებას, მაგრამ მომავალ კონფიქტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მოსპობილ იქნას გერმანიის მილიტარიზმი.

ერიომ აღნიშნა პირდაპირი მოლაპარაკების მნიშვნელობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის და წაიკითხა საბუთები, რომლებიც ამოწმებენ, რომ საფრანგეთმა უნდა მიიღოს პირველი წლიური სარეპარაციო გადასახადი-200 მილიონი ოქროს მარკა.

ეჭვს გარეშეა, რომ საჭიროების მიხედვით საფრანგეთი არა ნაკლებ ენერგიასა და გაბედულებას გამოიჩენდა, ვინემ ომის დროს, მაგრამ დღეს მას ესაჭიროება დასვენება და საერთო მშვიდობიანობა. ამიტომ ერიო მოითხოვს დამტკიცებულ იქნას შეთანხმება, ვინაიდან ის მოიტანს რიალურ შედეგებს.

„ლონდონის შეთანხმება-განაცხადა ერიომ ბრძნული საქმეა, რომელიც იძლევა პირველ იმედს მშვიდობიანიბისა და ანახლებს მოკავშირეთა ურთიერთობას".

დანარჩენი ორატორები იწონებენ ერიოს ნაბიჯს და ნდობას უცხადებენ მთავრობას.

სოციალისტების სახელით გამოვიდა პოლ ბონკური, რომელმაც განაცხადა, რომ მისი პარტია ხმას მისცემს ნდობას, ვინაიდან მთავრობამ შექმნა ისეთი განწყობილება რომ საფრანგეთს შეუძლია მიმართოს ევროპას მოწოდებით-რათა მოეწყოს კანტროლი გერმანიის შეიარაღებაზე ერთა ლიგის საშვალებით.

კომუნის დეპუტატმა დორიომ სასტიკად გააკრიტიკა ლონდონის კონფერენცია, რადგანაც მან არ გადასინჯა ომის შემდეგ დადებული საზავო ხელშეკრულებები.

კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა დორიომ საფრანგეთის სოციალისტები და მთავრობა, ბანკირების ხალხზე გაბატონებისათვის'

ერიოს შენიშნაზე,-რომ საბჭოთა მთავრობაც კი მიმართავს სესხსო, დორიომ განაცხადა: „საბჭოთა მთავრობა არ ჰყიდის რესპუბლიკას ბანკირებზე"-ო.

პარლამენტმა გამოუცხადა ერიოს მთავრობას ნდობა.

გერმანიის რეიხსტაგში.

ფიშერი ექსპერტთა გეგმის შესახებ.

25 აგვისტოს რეიხსტაგის სხდომაზე დეპუტატმა რუტ ფიშერმა (კომუნისტი ქალი) სასტიკად გააკრიტიკა ექსპერტთა გეგმა.

მან განაცხადა, რომ ამ გეგმის წინააღმდეგია თვით ამერიკა.

რუტ ფიშერმა უწოდა ექსპერტების მოხსენებას დიდი პოლიტიკური ფარსი.

ამ სიტყვებს მოჰყვა ტაში მარცხნიდან. მემარჯვენეებმა და ნაციონალისტების ნაწილმა დაცინვით შეხვდენ ორატორის სიტყვას.

ნაციონალისტების გამოსვლა.

რეიხსტაგში გამართულ დებატების დროს ნაციონალისტების ლიდერი გერგტი ლონდონის შეთანხმების წინააღიდეგ წავიდა. მან ურჩია მთავრობას განაახლოს ცალკე მოლაპარაკება საფრანგეთთან რურის ევაკუაციის შესახებ არა უგვიანეს 1925 წლის 10 იანვრისა.

ნაციონალისტების ლიდერთა თათბირზე.

გერგტის განცხადების შემდეგ, რომ ნაციონალისტებს არაფერი დარჩენიათ, გარდა ლონდონის შეთან-

ხმების უარყოფისა გაისმა ხმები:

,,მაშ, ნაციონალისტები რეფერენდუმზეც უარს ამბობენ?'' ამაზე გერტმა უპასუხა, რომ ნაციონალისტების ოპოზიცია, ცხადია გამოიწვევს პირდაპირ მოლაპარაკებას დაინტერესებულ სახელმწიფოებთან, რის გამოც ლონდონის შეთანხმებაში შეტანილ იქნება ზოგიერთი შესწორება, მათ რიცხვში რურის ოკუპაციის ვადის შემცირება.

კენჭის ყრის წინ.

ნაციონალისტურ პარტიის გადაწყვეტილება.

ნაციონალისტებს შორის მოხდა განხეთქილება.

ტირპიცის, ფოლრაფის და დიუსელდორფის გავლენით, ნაციონალისტების ფრაქციამ დაადგინა მოახდინოს ერთგვარი ძალდატანება პარტიის წევრებზე კენჭის ყრის დროს რეიხსტაგში.

რადიო ყოველ მხრიდან.

მაკდონალდის მდგომარეობა.

ინგლისის პარლამენტარულ კონსერვატიულ წრეებში ფიქრობენ, რომ მაკდონალდის კაბინეტი დაეცემა მიმდინარე წლის დასასრულამდეო.

ამის მიზეზი, მათი აზრით, შეიქმნება ირლანდიის საკითხის გარჩევა.

ერცბერგერის მკვლელის გაცემა.

უნგრეთის მთავრობა დასთანხმდა მისცეს გერმანიის მთავრობას გერმანიის დემოკრატების ლიდერის ერცბერგერის მკვლელი—ჰენრიხ ფერსტერი.

გერმანელების დევნა პოლონეთში.

მიუხედავად ვოიცეხოვსკის დაპირებისა, რომ ის ლმობიერად მოეპყრობოდა ეროვნულ უმცირესობებს, პოლონეთში მაინც სწარმოებს გერმანელთა დევნა.

პოლონეთის ძალთა მიერ ამ დღეებში აკრძალულ იქნა (ზემო-სილეზიაში) გერმანელ მომღერალ კავშირთა კრება.

მაროკოში.

მაროკოში საომარ რაიონების მდგომარეობა უცვლელია.

„მატენი“-ს კორესპონდენტი გადმოსცემს დიქტატორ პრიმა-დერივერას განცხადებას იმის შესახებ, რომ ესპანეთს აზრად აქვს შეინარჩუნოს მაროკოში ტეტუანისა და მელილის რაიონები.

ინდოეთში.

კალკუტიდან მიღებულ ცნობით ჯანმარტაში დღესასწაულობის დროს მოხდა ანტიბრიტანული გამოსვლები. პოლიციამ დაიწყო სროლა. შეტაკების დროს დაჭრილ იქნა 20 პოლონელი.

უკანასკნელ საათში

შეჯახება სოც. დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის.

25 აგვისტოსთვის დანიშნული იყო 1-ლი და მეორე კითხვა კანონპროექტებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან დოუესის გეგმასთან.

კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება სოციალიზაციის პროექტის შესახებ, ამან გამოიწვია შეჯახება სოც. დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის, ვინაიდან ს. დ. გერმან მიულერმა მონათლა კანონპროექტი სოციალიზაციის შესახებ მოსახლეობას მატყუილებად.

ამსტერდამელები დემონსტრაციას მართავენ ომის წინააღმდეგ.

ამსტერდამის ინტერნაციონალი აწყობს 21 სექტემბრისთვის დემონსტრაციებს ომის წინააღმდეგ.

ნაციონალისტები მოითხოვენ მთავრობის გადადგომას.

ნაციონალისტები მოითხოვენ მარქსის მთავრობის გადადგომას ლონდონის კონფერენციის უშედეგობის გამო. ნაციონალისტებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ახალი მოლაპარაკება ახალ ხალხთან“.

ნაციონალისტების ბიულეტენში სწერია: „ოპოზიცია საკმაოდ ძლიერია, რომ თავზე აიღოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, დაიწყოს ახალი მოლაპარაკება ანტანტასთან და მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს“.

„სამშობლოს კავშირთა“ ყრილობიმ გამოიტანა რეზოლიუცია ლონდონის შეთანხმების წინააღმდეგ, რომელშიაც მოითხოვენ რეიხსტაგის დაშლას, ახალი არჩევნების დაანიშვნას და რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევას.

ამსტერდამის ინტერნაციონალი და დოუესის გეგმა.

ჰამბურგში გამართულ ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესზე ფიმენი და ვილიამსი დოუესის გეგმის წინააღმდეგ წავიდენ.

ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანი უდეგეესტი სასტიკ პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ.

ის ამბობს, რომ დოუესის გეგმა უკანასკნელი ცდაა ევროპის სახსნელად.

სპარსეთი.

ამერიკის მრჩეველის თავხედობა.

ოფიციოზურ გაზეთ „ირანში“ მოთავსებულია ცნობა ამერიკის მრჩეველთა მეთაურის, მილსპოს თავხედურ გამოსვლის შესახებ.

მილსპომ მიმართა იუსტიციის მინისტრს წერილობითი მოთხოვნილებით რათა გაათავისუფლოს პატიმრობიდან **მოველი**, რომელმაც გაფლანგა ფულები ფინანსთა სამინისტროში.

მილსპო წერილში იმუქრება, რომ თუ არ იქნება შესრულებული მისი მოთხოვნილება, იმ შემთხვევაში ის დაუკავებს ჯამაგირებს იუსტიციის სამინისტროს მოსამსახურეებს.

პოლიტიკური წრეები მეტად აღაშფოთა მილსპოს საქციელმა, რომელსაც სთვლიან სახელმწიფოს სასამართლო დაწესებულებათა შეურაცყოფად.

ცვლილება კაბინეტში.

გადადგენ სამსახურიდან სპარსეთის კაბინეტის მინისტრები, გარდა საგარეო საქმეთა მინისტრისა.

ეს მოხდა, როგორც ფიქრობენ, პრემიერის განზრახვით, რომელსაც სურს განაახლოს მთავრობა, ვინაიდან ის სთვლის მომენტს ხელსაყრელად მთავრობაში ცვლილების შესატანად.

20 საათში მოსკოვიდან ლონდონში.

გერმანიის აერო-ლოიდის დირექტორმა მეკკელმა, რომელიც ეხლახან ჩამოფრინდა ბერლინიდან მოსკოვში, როსტას თანამშრომელს აცნობა, რომ მისი მიზანია აწარმოოს ინგლისის და საბჭოთა საქციონერო საზოგადოებათა შეერთებული მუშაობა, რათა დაწესებულ იქნას პირდაპირი საჰაერო გზა მოსკოვ--ბერლინ—ლონდონი.

მოსკოვიდან ლონდონში გადაფრენას არ უნდა მოუნდეს 20 საათის მეტი დრო, რისთვისაც საჭ როა სპეციალური მოწყობა დამ ფრენისათვის.

ადგილობრივი ცნ ბები.

ჯავა-რონის გზა.

დამთავრდა ჯავა-რონის გზის გ გმის შედგენის მუშაობა. გზას დ დი მნიშვნელობა აქვს. დაიწყო მ შაობა პროექტისა და ხარჯთ აღრ ცხვის შესადგენად.

აფხაზეთი.

გლეხთა კონფერენცია.

მუშავდება საკითხი აფხაზეთ უპარტიო გლეხთა 1-ლი ფართ კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ფოთი.

ფერშლების გამოშვება.

გამოშვებულ იქნა სკოლის ფერ შლები. კურსები მოწყობილი იყ ადგილობრივ ჯანმრთელობის ინსპ ქციის მიერ.

17 მსმენელიდან კურსი დაამთა რა 16 კაცმა.

ფოთი და გურია.

1922 წელს მდინარე მალთაყვ გადიდების გამო გაფუჭდა ხის ხი ხსენებულ მდინარეზე, რამაც შ ფერხა მიმოსვლა ოზურგეთსა ფოთს შორის. ამ შემთხვევამ დ დი გავლენა იქონია ადგილობრ ბაზარზე. გურული გლეხები, რო მელთაც მიჰქონდათ ფოთის ბაზა ზე თავიანთი სასოფლო-სამეურნე პროდუქტები, დღეს მოკლებულ არიან ამ სარგებლობას, ვინაიდ ბორანზე მოგზაურობა ერთგვარ ხ ფათს იწვევს.

რა უნდა ვაკეთოთ სოფლად.

ჩქარა ნაწილი ჩვენი წითელი არმიელების უვადო შვებულებაში წავა.

წლისა და წელიწად ნახევრის შემდეგ იგინი კვლავ თავიანთ სოფლებს უბრუნდებიან.

დიდი უმეტესობა მათი წითელ ყაზარმაში მოვიდა წერა-კითხვის უცოდინარი.

საზოგადო ცხოვრების, პოლიტიკის, აღმშენებლობის და სხვა და სხვა, დიდმა უმეტესობამ არა იცოდა რა.

ჩვენი ყაზარმები ძველებური ყაზარმები არ არის.

ის ახალ ყაიდაზედ არის მოწყობილი.

იგი სკოლაა, სადაც სოფლის გლეხი და მუშა სწავლობს სამხედრო საქმესთან ერთად წერა-კითხვას, პოლიტიკურ ანბანს; ეჩვევა აღმშენებლობითი მუშაობას.

საკლუბო მუშაობა, ლიტერატურული წრეები, კოოპერაცია და მრავალი სხვა, აი რა ახასიათებს თვითეულ წითელ ყაზარმას.

ჩვენ თვითეულ წითელ არმიელს საშუალებას ვაძლევთ ამ საქმეში საკუთარი უნარი გამოიჩინოს.

რატომ?

იმიტომ რომ იგი შეიქნეს შეგნებული მოქალაქე; შეითვისოს და განვითარდეს თითონ.

შემდეგ კი, როდესაც სოფლად დაბრუნდება, ეს ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს მშრომელი გლეხობის დასახმარებლად.

აი ეხლა სწორეთ ეს საკითხი გვიდგება ჩვენ თვალწინ.

სოფელს ძალიან ბევრი უჭირს. გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებული წერილიც საკმარისია გლეხობის უბედურება რომ გავითვალისწინოთ.

ამხ. მატიანეს წერილიდან სჩანს, რომ გლეხობას არამც რამეს გაკეთება შეუძლიათ საკუთარი ძალით, არამედ თავმჯდომარეც ვერ აურჩევიათ. სამხედრო ნაწილი მივიდა და დაეხმარა.

ეს თუ ასეა, (და ეს კი ასე არის) მაშინ რა იქნება სკოლის, კოოპერატივის, საავადმყოფოს და სხვ. დაარსების დროს.

ხშირია სოფლად გაღმა-გამოღმა უბნების მიერ ჩხუბი: არა ჩემკენ უნდა იყვეს სკოლა არა ჩემკენო.

გამოცდილება და უნარზე, კოოპერატივის, სკოლების დაარსებაზე ხომ ლაპარაკი მეტია.

ბევრ შემთხვევაში გლეხობამ არ იცის ვის და სად მიმართოს.

და აი სწორეთ შვებულებაში დაბრუნებული წითელ არმიელი წარმოადგენს იმ სანათს, რომელმაც მისვლისთანავე უნდა გაანათოს სოფლის ბნელი კუნჭულები.

სოფლად გასაკეთებელი ბევრია. პირველ ყოვლისა გლეხს აწუხებს უსაჭიროეს ნივთების არ ქონა.

ეს არის წუმწუმა, მარილი, ნავთი, ფართლეულობა და სხვა.

ვის მიაქვს ეს სოფლად?

სოფლად ეს საქონელი დიდ უმეტეს შემთხვევაში ჩარჩებს, სპეკულიანტებს მიაქვთ. ისინი არ ზოგავენ გლეხობას და შეუბრალებლად ატყავებენ; ღირს საქონელი კაპეიკი, ახდევინებენ აბაზს და მეტს.

გლეხმა კი იცის, რომ დღეს საბჭოთა მთავრობა არსებობს, მუშების და გლეხების ხელისუფლება არის.

ის გამწარებული, ოხერი ჩარჩისაგან, ამ ჩარჩს კი არ აგინებს, აგინებს საბჭოთა მთავრობას.

ამ რიგად გლეხი უკმაყოფილოა მთავრობის. მაშინ, როდესაც მთავრობა აქ არაფერ შუაშია. უნდა თვითონ მოიწყოს კაცმა თავის საქმე. სხვას მხოლოდ დახმარების გაწევა შეუძლია.

მაგრამ გლეხს არ შეუძლია არც ერთი და არც მეორე. აქ საჭიროა დაბრუნებული წითელ არმიელის დატრიალება. მან ბევრი რამ იცის. სოფლად ჩარჩების ალაგმვა კოოპერატივის დაარსებით შეიძლება. კოოპერატივი მაწვდის ხალხს კარგს და იაფ საქონელს.

გლეხობა თავისუფლად ამოისუნთქავს და თან თავის არჩეულ მთავრობის მადლიერი დარჩება.

ასევე ითქმის სოფლის სიბნელეზე, არ იციან წერა-კითხვა იმიტომ, რომ არ უსწავლია.

წითელ-არმიელმა კი აქ შეისწავლა წერა-კითხვა, პოლიტიკური ანბანი.

შეისწავლა ეს არა სილამაზისათვის, არამედ მისთვის, რომ ცხოვრებაში გამოიყენოს.

ამიტომ ის ვალდებულია გლეხებს შეასწავლოს ყოველივე ეს.

არის კიდევ ერთი რამ ყურადღება მისაქცევი.

სოფლად ყავთ საბჭოები; არ მილიცია.

ხშირად ამ საბჭოებში ან მილ ციაში მოხვდება ხოლმე არა სასურ ველი კაცი. ის გლეხებს დახმარ ბის მაგივრად ძველ მამასახლის ვით ეფაფრუხება და ტუქსავს. გლ ხობასაც ხმა ვერ ამოუღია.

ამ შემთხვევაშიაც მზად უნდა იყო შვებულებაში მისული პირი. მ უნდა გაუწიოს დახმარება გლეხობა თუ საჭირო იქნა უნდა ასწავლო სად და როგორ უნდა მიმართო სამართალისათვის.

თორემ ისე გაბრაზებული გლ ყოველივეს გულში ინახავს და მთა ვრობას აბრალის.

აი ყოველივე ეს პირდაპირი მ ვალეობაა შინ დაბრუნებული წ თელ არმიელების.

ის, ვინც სოფლის მუშაობ ხელს არ მოკიდებს ვერ არ ღირსეული ხალხის შვილი, ვ არის კარგი წითელ არმიელი.

ასეთებზე ჩვენი შრომა არამ არის დაკარგული.

თავისთავად ცხადია, არაღირსე ლად ყოფნა და ნაცარქექიის სახ ლის დამსახურება არც ერთ ჩვე თაგანს არ უნდა.

ამიტომ, სოფლად მისვლისთან ხელი მოვკიდოთ საზოგადო მუშა ბას.

ეს არის ჩვენი მოვალეობა; ამ მოითხოვს ჩვენგან მუშურ-გლეხუ ხელისუფლება.

სახლში წამსვლელო წითელ ა მიელო, არ დაგავიწყდეს ეს.

სოფლელი.

ჩვენს წითელ ჯარში

დაპირება შეგვისრულეს.

ჩვენი მესანგრე ასეული, როგორც სპეციალური ნაწილი, რის გამო 1901 წ. დაბადებულ არმიელების დემობილიზაცია ჯერ არ მომხდარა.

ივლისში ჩვენთან იყვენ ამხ. ორჯონიკიძე და პუგაჩოვი, რომლებმაც შეგვპირდენ, რომ ერთი თვის შემდეგ გაშვებული იქნებით დემობილიზაციაშიო.

ძვირფასი ამხანაგების დაპირება შესრულდა. მოგვივიდა ბრძანება, რომლის ძალითაც 1901 წ. დაბადებულები გაშვებული უნდა იქნენ სექტემბრიდან.

წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ყველა იმის ფიქრშია, თუ როგორ გამოიყენონ ჯარში შეძენილი ცოდნა სოფლად.

ჩვენი ნაწილი ხომ სპეციალური ნაწილია, ამიტომ მართალი არიან ჩვენი არმიელები, როდესაც გახარებული გაიძახიან, —სოფლებში ხიდეებს გავიყვანთ და კარგ შარაგზებს გავაკეთებიებთ გლეხებსო.

ჩვენ აგვისრულეს დაპირება სახლში გაშვების შესახებ, მაგრამ ჩვენც პატიოსან სიტყვას ვაძლევთ ამხ. ორჯონიკიძეს, პუკაჩოვს და მთელს საბჭოთა ხელისუფლებას რომ მთელს ჩვენს გამოცდილებას და ჯარში შეძენილ ცოდნას მოვახმართ საბჭოთა ხელის უფლების სოფლად განმტკიცების საქმეს.

ამასთანავე ფიცს ვიძლევით, რომ თუ საბჭოთა მთავრობა მოგვიწოდებს საჭიროების დროს ყველა, როგორც ერთი, კვლავ ჩავდგებით წითელი ჯარის რიგებში.

სამხკორი: **ნუცუბიძე.**

ყურადღება საჭიროა.

მესამე ტერ-ლეგიონის ბიბლიოთეკა-სამკითხველო ვერ აკმაყოფილებს წითელ არმიელთა ფართო მასის მოთხოვნილება. წიგნები არ მოიპოვება საკმაოდ. რაც არის იგიც რუსული ლიტერატურიდან, რომლებითაც სარგებლობს მხოლოდ ჩვენი უფშემადგენლობა. არც გაზეთების საქმეა კარგად მოწყობილი. არც ერთი გაზეთი თავის დროზე არ მოგვდის, განსაკუთრებით გაზ. „წითელ არმიელი“, რომელიც ესეოდენ დიდ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის. ექსპედიციას არა აქვს საქმე მოწესრიგებული, თორემ გაზეთების მიღებას რაღა უშლის.

ყველა ამ დეფექტებს ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი დივიზიის ბაზის გამგემ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ბიბლიოთეკა ვერ გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს.

სამხკორი ბალათურია.

მეხუთე ლეგიონის ცხოვრებიდან.

ცუდი საქციელის წ. არმიელის გასამართლება.

კვირას, 24 აგვისტოს, ჩვენმა ლიტერატურულმა წრემ მოაწყო ცუდი ზნე-ჩვეულების მქონე წითელ-არმიელის ლიტერატურული გასამართლება, რომელზედაც დაესწრენ აგრეთვე მეექვსე ლეგიონის და დივშკოლის წითელ-არმიელებიც.

ბრალდებულის როლში იყო ამხ. სვანაძე. ბრალმდებელი ლ. დგებუაძე და დამცველი—ირ. ნინიკაშვილი.

სასამართლოს წინადადებით დამსწრე წითელ-არმიელები ირჩევენ 5 ნაფიც მსაჯულებს.

რა ბრალი ედება?

ბრალდების შინაარსი ასეთია: ერთ საღამოს, მაცადინეობის შემდეგ, სპირიდონ დათუნაშვილი უფროსის დაუკითხავათ გაიპარა ქალაქში, სადაც მას შეხვდა თავისი ნაცნობი მოჩხუბარიძე, რომლებიც შევიდნენ სამიკიტნოში, დათვრენ, ასტეხეს ჩხუბი, დაიწყეს ლანძღვა-გინება და მიკიტანს დაუმტვრიეს ჭურჭელეულობა. მილიციამ დათუნაშვილი და მოჩხუბარიძე დაიჭირა და პირველი გადასცეს თავის ნაწილში. თვით ამხანაგების ჩვენებით დათუნაშვილი იყო ამხანაგებთან არა კარგ განწყობილებაში, ის სიტყვას არ იტყოდა ისე, რომ ბინძურად არ გამოეთქვა. პოლიტ-საათზედ და სკოლაში (წერა-კითხვის უცოდინართა) მას ხშირად ეძინა და იქ ახსნილ განმარტებები მისთვის ფუჭი იყო. ჩხუბი და უხეში სიტყვების ხმარება მისთვის ჩვეულებად იყო ქცეული. თვითონ დათუნაშვილი გორის მაზრიდანაა, დაბადებული 1902 წ.

ამ საქმის შესახებ დაკითხული იქნა მოწმები: მასწავლებელი, პოლიტ-ხელი, ასეულის თავი, მიკიტანი, მოჩხუბარიძე და უკანასკნელად ბრალდებული.

ჩვენი სახელის გამტეხი უნდა დაისაჯოს.

მხარეთა პირველი სიტყვის დამთავრებისას, ილაპარაკეს კერძო მაყურებელ მოქალაქეებმა, უფ-პოლიტ-შემადგენლობამ და წითელ-არმიელებმა.

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ-არმიელების ამხ. ს. ოგანოვის და ქილაიას სიტყვებმა.

ორივე ამხანაგებმა დაგმეს დათუნაშვილის საქციელი და მოითხოვდნენ მის დასჯას.

„უკეთუ სასამართლო არ დასჯის დათუნაშვილს ისე, როგორც რიგი და წესია“-ო სთქვა მეორე წითელ-არმიელმა, „იმ შემთხვევაში მას, როგორც ჩვენი სახელის გამტეხს, ჩვენვე დავსჯითო“.

განაჩენი დამაკმაყოფილებელია.

მხარეთა უკანასკნელი სიტყვების შემდეგ სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობით გამოიტანა შემდეგი შინაარსის განაჩენი: „დათუნაშვილი იქნა ყოველ მხრივ დამნაშავეთ ცნობილი, რისთვისაც მას უსჯიან: დარჩეს წითელ-ყაზარმაში მანამ, სანამ ის არ შეისწავლის კარგათ წერა-კითხვას და ყოველგვარ სამხედრო წყობილებას, სანამ ის არ გადაეჩვევა უხეში სიტყვების ხმარებას და სიმთვრალეს. ხოლო უკეთუ ის კიდევ განიმეორებს მსგავს საქციელს, იქნეს დისციპლინარული წესით დასჯილი“.

განაჩენმა ყველა დააკმაყოფილა. გასამართლებაზე დაესწრენ გლეხები და ამიტომ მან თვისი ფართო საგიტაციო ხასიათი მიიღო.

მატიანე.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„ჩვენი ტრიბუნა“.

ქართულ სამხედრო სკოლის მესამე ასეულში გამოდის კედლის გაზეთი „ჩვენი ტრიბუნა“.

გაზეთი შესაფერისად არის დასურათებული. მთელი ფორმატის მეხუთედი ნაწილი უჭირავს შუაში ტრიბუნას, რომელზედაც არის ამხ. ლენინი.

ტრიბუნის მარჯვნივ და მარცხნივ დახატულია მუშები და წითელ არმიელები, ტრიბუნაზედ ფრიალებს წითელი დროშები. სურათის უკან შორს მოსჩანს ქარხნები და სოფელი, კიდევ უფრო შორს მთის წვეროები, სურათი მეტად ლამაზია.

მთელი გაზეთი გაყოფილია 5 სვეტებად. პირველი ორი სვეტი დათმობილი აქვს პოლიტიკურ და სადღეისო წერილებს.

მეორე ორი— ლიტერატურულს და უკანასკნელი ერთი კი იუმორისტულს.

შინაარსიანი, მეტად მხატვრული, ლამაზი და სუფთა ნაწერია მეორე ნომერი. საერთოდ გამოშვებული პირველი ოთხი ნომერი დიდ ყურადღებას იქცევს კურსანტებში. ის ერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენს ჩვენს ლენინის კუთხეში.

სარედაქციო კოლეგიამ გამოარკვია, რომ პირველ მეორე ნომერთან შედარებით, მესამე-მეოთხე და მეხუთე ნომერს თითქმის 25% მეტი თანამშრომელი ჰყავს. სჩანს, რომ გაზეთმა კურსანტებში დიდი როლი ითამაშა.

უსურვოთ მესამე ასეულის კედლის გაზეთ „ჩვენი ტრიბუნა“-ს კიდევ უფრო დიდი და საპატიო ადგილი დაეკავებიოს ჩვენს კურსანტებში.

ვაშა ჩვენი გაზეთის თანამშრომლებს!

ბოკო.

„დენშჩიკობა“ და უსაფუძვლო „ორდინარცობა“ უნდა მოისპოს.

„დენშჩიკობის“ წინააღმდეგ არა ერთხელ დაწერილა ჩვენს გაზეთში, მაგრამ ზოგიერთი მეთაურები და წითელ არმიელები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

აი მაგალითებიც:

პირველ საარტილერიო დივიზიონში არის ე. წ. პროფესიონალური „დენშჩიკი“ წითელ არმიელი ამხ. შარაბიძე.

დღე და ღამე მეთაურების კარვებიდან გაისმის ძახილი: „შარაბიძე ეს ქენი, შარაბიძე ეს გაკეთებული დამახვედრე“ და სხ.

შარაბიძეც გარბის თავ-ქუდ მოგლეჯილი ერთი კარვიდან მეორეში, —ერთ უფროსიდან მეორესთან.

ამხ. შარაბიძეს ცხადია ვერ გაუგია წითელ არმიელის მოვალეობა და თავისი უმგზავსო საქციელით სცემს წითელ არმიელის სახელს.

რაც შეეხებათ უფროსებს, მათ კარგად ესმით წითელ არმიელის მოვალეობა, მაგრამ ძველი ჩვეულება ვერ მოუშლიიათ და თავის საოჯახო საქმეების გაკეთებას არმიელებს ავალებენ.

იყო შემთხვევა, რომ მეთაურები ბოჭორაძე და ჯინჭარაძე სადღაც მიდიოდენ. გამოვიდენ თუ არა კარვებიდან გასძახეს ამხ. შარაბიძეს და რიხით უბრძანეს:



— ჩვენ მოსვლამდე, ჩვენი კარვები დაასუფთავე, დადგი წყალი და თუ ეს რიგზე არ გიქნია, იცოდე კბილებს ამოგიმტვრევ.

ასეთი საქციელი უფროსებისაგან დაუშვებელია. ჩვენ წითელ არმიის რიგებში მოგვიყვანეს არა ვინმეს პირადი საქმეების საკეთებლად და „კბილების ამოსამტვრევლად“, არამედ სამხედრო ცოდნის შესაძენად, რომ უფრო ადვილად შევსძლოთ მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლა.

ეს კარგად უნდა იცოდენ ჩვენმა მეთაურებმა.

ამ ბოლო ხანებში ჩვენთან ძლიერ გავრცელდა აგრეთვე „ორდინარცობაც“. მეთაურები ხშირად მიდიან ვიღაც ნაცნობებთან სოფლებში და თან მიჰყავთ „ორდინარცებიც“.

ეს ძველი ჩვეულებიდან დარჩენილი ერთი სიმახინჯეთაგანია, რომელსაც ადგილი არ უნდა ექნეს წითელი ჯარის ცხოვრებაში.

ამას გარდა სადღაც წარა-მარა სოფლებში უსაფუძვლოდ სიარული და ცხენების დაღლა ვერ არის მიზანშეწონილი.

ყველა ამ უთავბოლობას ჩქარა უნდა მოეღოს ბოლო.

ნუ გამოიყენებთ მეთაურებო, იმ მდგომარეობას, რომ თითქმის ყველა პოლიტ-მომუშავენი ავადმყოფობის გამო შვებულებაში არიან და ყურადღებას ველარავინ გაქცევთ.

სამხკორი: **ლ. დგებუაძე.**

პარტიული ცხოვრება.

პარტმუშაობა.

პარტიული კრება 1-ლ ლეგიონში.

4-ხი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ამორჩეული იქმნა ჩვენი ბიურო-კოლექტივი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი საყურადღებო საქმეები გაკეთდა, იყო დეფექტებიც, მაგრამ წარსულთან შედარებით ძლიერ მცირე, დღეს კი საჭირო შეიქნა ხელახალი ბიუროს ამორჩევა, რადგან ძველს ვადა გაუთავდა.

19 აგვისტოს მოხდა ლეგიონის პარტწევრების გაერთიანებული კრება, რომელზედაც საგანგებო მომხსენებლად პოლიტ-განყოფილებიდან მიწვეული იქნა ამხ. ჩანტლაძე.

კრებას გახსნილად აცხადებს ამორჩეული თავმჯდომარე ამხ. ბაახია, და მოკლე სიტყვით მოუწოდებს ამხანაგებს საქმიან მუშაობისაკენ.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1. მენშევიზმის ტაქტიკა და ჩვენი ამოცანები. 2. ბიუროს 4 თვის ანგარიში, 3. ბიუროს წევრების ამორჩევა, 4. განცხადებების განხილვა და სხვა.

მენშევიზმი მუშათა მოძრაობის ბორკილია.

მენშევიზმის ტაქტიკა და ჩვენი ამოცანებზე მოხსენება გააკეთა პოლიტ-განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ჩანტლაძემ, რომელიც ახასიათებს მენშევიზმს, როგორც მუშათა მოძრაობის საშინელ ბორკილს. დღეს როდესაც მშრომელი მასსა ემზადება უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლისთვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ამ დროს მოღალატე მენშევიზმი და მეორე ინტერნაციონალი ერთგული დამხმარე შეიქმნა საერთაშორისო მილიტარიზმის. მენშევიზმა უარჰყო რევოლიუციონური მარქსიზმი და მუშებს მოუწოდებს კაპიტალიზმთან ერთგულ თანამშრომლობისაკენ და სხვა.

ამხ. ჩანტლაძე ვრცლად შეეხო ჩვენს ამოცანებსაც და ბოლოს ამბობს: „შორს არ არის ის დრო, როდესაც ავაფრიალებთ წითელ ფეროვან მუშების სისხლით შეღებილ დროშას დასავლეთ ევროპაში“.ო კრებამ მოხსენებაზე გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია.

ბიურო-კოლექტივის მუშაობა.

ბიურ-ოკოლექტივის 4-თვის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბიუროს პასუხის მგებელი მდივანი ამხ. ჭანიშვილი, რომელსაც მოყავს სტატისტიკური ცნობები თუ რა გაკეთებულა პოლიტ-პარტ სააღმშენებლო დარგში.

შემდეგ თანამომხსენებლად გამოდის ბიუროს წევრი ამხ. ბაახია, რომელიც ადარებს უწინდელ და ეხლანდელ მუშაობას და აღნიშნავს, რომ ჩვენ დიდ მიზნებს მივაღწიეთ შედარებით წარსულთაან. შეკითხვების შემდეგ იმართება კამათი, რაზედაც გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ბიურო-კოლექტივის 4 თვის მუშაობის შესახებ ამხ. ჭანიშვილის მოხსენება, ქ. მ. დ. 1-ლ ლეგიონის გაერთიანებული პარტიული კრება, და კრება ითვალისწინებს რა იმ პირობებს, რომელშიდაც უხდებოდა მას მუშაობა (მაგ. წ. მოლაშქრეთა მობილიზაცია, დემობილიზაცია და ამასთანავე ლეგიონის შემადგენლობის გადაჯგუფება) ჩვენ მთლიანი გაერთიანებული პარტიული კრების შემადგენლობა სრულით ვიწონებთ ბიურო-კოლექტივის საორგანიზაციო და პოლიტიკურ მუშაობის ხაზს, და ბ/კ. 4—თვის მუშაობას ვცნობთ დამაკმაყოფილებლად.

ვინაიდან ძველი ბიუროს მუშაობა წარჩინებულად მიმდინარეობდა, ამიტომ კრება ადგენს: ბ/კ. წევრებათ დარჩეს ისევ ის შემადგენლობა, მხოლოდ ერთად ერთ წევრის ნაცვლად შეყვანილ იქნეს ახალი წევრი, რადგან ამხ. ამ ჟამად ლეგიონში არ იმყოფება. არჩეულ არიან 1. ჰანიშვილი 2. ბაახია, 3. იმნაიშვილი, 4. ანდღულაძე და 5. შონია, კანდიდატებათ 1. ზოიძე და 2. ნუცუბიძე.

განცხადებების განხილვის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

უსურვებთ ახალ ბიუროს უფრო ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას.

სანი იმნაიშვილი.

ჩვენი ნაკლოვანებანი.

სცდებით დახასიათებაში!

(ამხ. გრ. კოკაიას წერილის გამო).

გაზ. „წითელ არმიელის“ 23 აგვისტოს № 580-ში მოთავსებულია ამხ. გრ. კოკაიას წერილი შემდეგი სათაურით:

„მეტი ასეთი მეთაურები“, რომელშიდაც ზედმიწევნით დადებითად არიან დახასიათებული მესამე ლეგიონის მეთაურები: ამხ. ბოსიკაშვილი და ამხ. მესხი.

რადგანაც აღნიშნული მეთაურები მსახურებდენ ქართულ პირველ ლეგიონში და ჩვენ კარგად ვიცით თუ რას წარმოადგენენ ამ მხრივ ისინი, ამიტომ არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ, რომ ზემო აღნიშნული კოკაიას წერილი ნაწილობრივად სიმართლეს არ შეიცავს.

ამხ. ბოსიკაშვილზე ჩვენ არაფერს ვიტყვით, რადგან ის მართლაც ღირსია ქებისა და პატივისცემის, რადგან ის პირველ ლეგიონშიც ერთ-ერთი ენერგიულ მეთაურთაგანი იყო.

რაც შეეხება ამხ. მესხს მეტად გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ამხ. კოკაია ასე აქებს მას.

ჯერ ერთი გასაკვირია ის, რომ ჩვენთან ზარმაცი და წითელი არმიელების აღზრდით სრულიად დაუინტერესებელი მესხი მესამე ლეგიონში ერთ თვის სამსახურით გადაიქცა ბეჯითად მეტად სასარგებლო კაცად, მეორე კი თუ ეს ასე არ არის, რამ აიძულა მესამე ლეგიონის პოლიტმომუშავენი, რომ წითელი არმიის რიგებიდან გაძევებულ მესხის დაბრუნებისათვის შუამდგომლობენ.

აღნიშნული სვ. მესხი ჩვენთან ცნობილი იყო, როგორც ანტი-საბჭოთა ელემენტი, ყოფილი აზნაური და კულაკის შვილი. ის სრულიად არ იყო დაინტერესებული წითელი არმიის აღმშენებლობით და სისტემატიურად ლოთობდა. მას თავის სიტყვებით ხშირად დეზორგანიზაციაც კი შეჰქონდა წითელ არმიელებში.

ეს რომ ასეა და მართალი, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ მესხი რამოდენიმე ხანს დაპატიმრებული იყო საგანგებო კომისიის მიერ და ცხადია ყველა ზემოხსენებულის შემდეგ წითელ ლაშქარში მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

გამწმენდი კომისიის ნაბიჯი მესხის მიმართ სწორად არის გადადგმული.

ერთხელ კიდევ უნდა უსაყვედურო ამხ. კოკაიას და პოლიტშემდგენლობას მესამე ლეგიონში, რომ მესხს ახასიათებს როგორც საიმედოს. ერთი თვე არაა საკმარი, რომ პიროვნება კარგად გაიცნოთ.

აქ დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს.

ნი—ლი.

განმარტებისათვის.

(მ-ქე —ძეს საპასუხოთ)

ჩემს წერილს სასამართლოს მოღვაწეთა შესახებ მ-ქე —ძე შეცთომაში შეუყვანია და იგი გაჯავრებით კითხულობს: „ძველი იურისტები დავსვათ არა“ო?

მე კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ იმ მოსაზრებით, რომელიც ჩემს წერილში ამოუკითხავს მ-ქეძეს, გაზეთის ფურცლებზე გამოსვლა აზრათაც არ მომსვლია. ერთი სიტყვითაც არ მომიხსენებია ძველი იურისტები და არც გამივლია აზრათ მათი დაბრუნების საკითხი აღმეძრა.

ჩემს წერილში მე გამოვდიოდი გამუშურებულ სასამართლოს ფაქტიდან და მხოლოდ მის გაუმჯობესებაზე და განვითარებაზე ვმსჯელობდი. წერილის აზრით, სამოსამართლო თანამდებობაზე ვისიმე არჩევის დროს უნდა მხედველობაში იქნას მიღებული „მისი ამ დარგში მიღებული სტაჟი და გამოცდილება“ „რა სტაჟზეა აქ ლაპარაკი, კითხულობს მ-ქე —ძე და თვითვე დაასკვნის: „ცხადია, მ-ქე ლორთქიფანიძე მოითხოვს ძველი იურისტების დაბრუნებას“ო. არა, არარის ეს სწორი. მე ის სტაჟი მქონდა მხედველობაში, რომელიც მიიღებს მუშა-მოსამართლეებმა რევოლიუციის შემდეგ, როგორც რუსეთში, ისე აქ, საქართველოში. ამ სტაჟს თუმცა ის დიდი არ არის, ჩემის აზრით დიდათ უნდა ვაფასებდეთ და ანგარიშს ვუწევდეთ.

მაგრამ ვიღებდი რა მხედველობაში, რომ ასეთთა რიცხვი არ არის ჯერ საკმაო და საჭირო ხდება ამ დარგში გამოუცდელთა მიღებაც, ამ შემთხვევისათვის საჭიროდ მივიჩნიე მხედველობაში იყოს მიღებული ასარჩევი პირის „მომავალი ინტერესი ამ დარგში მუშაობისა“. „ყველამ, მუშა იქნება იგი თუ ინტელიგენტი, ვინც სასამართლოს მოღვაწის მძიმე ტვირთს იღებს თავზე უნდა შეიგნოს ეს აზრი (ე. ი. სირთულე საქმისა და პასუხისმგებლობა), გაითვალისწინოს ის დიდი მუშაობა, რომელიც წინ მოელის და საქმეს ხელი მოკიდოს **არჩეულ პროფესიისადმი ინტერესის გამოჩენის დიდი სურვილით**“. ამ განმარტებიდან, რომელიც ამოღებულია წინა წერილიდან, განა აშკარა არ არის, რომ აქ ლაპარაკი არ არის ძველი სასამართლო პროფესიონალებსა და იურისტებზე, არამედ მხედველობაში არის მიღებული მხოლოდ და მხოლოდ ახლანდელი და მომავალი მუშა-მოსამართლენი?

ასეთი არის დედა აზრი ჩემი წერილისა და არ მეგონა, თუ მისი გაგება სხვანაირათ შეიძლებოდა. იმ წერილში მხოლოდ სურვილი გამოთქვი, რომ ჩვენში ყველა შემთხვევაში ასეთი სალი და სასარგებლო საზომით ეხელმძღვანელათ.

ეს განმარტება საკმაოთ მიმაჩნია წინა წერილში გამოთქმულ მთავარი აზრის სისწორის აღსადგენათ.

ი. ლორთქიფანიძე.

მეცნიერება და ტექნიკა

სამხედრო რადიო-ქსელი შეერთებულ შტატებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დამთავრდა რადიო-ქსელის გაყვანა, რომელიც აერთიანებს ყველა ქალაქებს, ვაშინგტონსა და ცხრა საოლქო კორპუსებს შტატებთან. ქსელს დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

ქსელის მიზანს შეადგენს—კავშირის დაკავება ამა თუ იმ შემთხვევების დროს, როდესაც ჩვეულებრივი კავშირი შეიძლება ადვილად შესწყდეს.

აღნიშნული ქსელის მოწყობის დროს ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული სანამ ყველა 75 სადგური არ იქნა მოწყობილი და არ ჩამოყალიბდა ერთ სისტემაში, რომელიც სრულიად არ განიცდის სხვა სადგურების ზეგავლენას.

რადიო-ქსელის ძირითად ფუძეთ მოხმარებული იქნა „საარმიო რადიო ქსელი“, რომელიც მოეწყო ამერიკის პირველ და მეორე არმიებში საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნის დროს, ასე რომ ქსელის პირადი შემადგენლობა მართლაც სამხედრო გამოცდილებითაა აღჭურვილი.

ქსელის მოწყობის დროს მოხმარებული იქნა ყველა უახლოესი მიღწევები ამ დარგში და მიღებული იქნა ყოველ გვარი ზომები, რათა სადგურის რომელიმე ნაწილის გაფუჭებამ გავლენა ვერ იქონიოს და მუშაობა არ იქნეს შეჩერებული. სადგურები ისე მუშაობენ, სადაც უმავთულო ტელეგრაფი და ტელეფონი.

მარსი.

უკვე განვლო მარსის უდიდესი დაპირდაპირების მომენტმა. ჩვენი დედამიწას, რომელიც მიუახლოვდა მარსს 55. სამი მეოთხ. მილიონ კილომეტრზე, 23 აგვისტო საღამოს ხუთი საათიდან დაიწყო ისევ დაცილება. დაცილების სიჩქარე პირველ დღეებში არც ისე დიდია. მაგალითად 24 აგვისტოს ყოველი წუთის განმავლობაში ეს დაცილება აღწევს 15 კილომეტრამდე. 25—29 კილომეტრამდე, 26—44 კილომეტ. მაგრამ რაც უფრო მეტი ხანი გაივლის დაცილება მით უფრო ჩქარია. 24 წლის დასასრულს ის მიაღწევს 917 კილომეტრამდე წუთში. მაშინ დედამიწასა და მარსს შორის მანძილი ედრება 170 მილიონ კილომეტრს, ე. ი. მარსი სამჯერ უფრო შორს იქნება ჩვენგან ვიდრე ეხლა.

რა შედეგი მოიტანა მარსის მოახლოებამ, მისი შესწავლის საქმეში?

თბილისში წარმოებული თვალდევნა შემდეგს აშკარავებს: 22—24 აგვისტომდე მშვენიერი ამინდები და ატმოსფერის სრული სიწყნარე ხელს უწყობდა თვალდევნას. მარსზე შემჩნეული იქნა უფრო გარკვეული კონტურები. გარკვევით მოსჩანდა თავისი სითეთრით ეგრედ წოდებული მარსის სამხრეთი პოლიარული ქუდი. გარკვევით მოსჩანდა აგრეთვე მარსის ზღვები მაგალითად სამხრეთის და ერიტეის ზღვები თავისი ყურებით, მაგალითად: დიდი სირტი, საბეის და ავრორის ყურეებით. არხები (**каналы**) არ გამოჩენილან.

23 აგვისტოს შემდეგაც მარსის თვალდევნის დიდი მნიშვნელობა ექნება მეცნიერებისათვის.

მარსის ამაღლება ორიზონტიდან თანდათან გაიზრდება სექტემბრის შუა რიცხვებიდან, რაც ხელს შეუწყობს ჩრდილოეთის საშუალო საგნებზე მოთავსებულ ობსერვატორიების თვალდევნას.

პლანეტა რაც დრო გავა მით უფრო ადრე და ადრე დაიწყებს ამოსვლას. სექტემბრის პირველ რიცხვებში ის ამოვა საღამოს ექვსის ნახევარ საათზე, ნოემბრის პირველ დღის სამ საათზე და დეკემბრის ბოლოში კი შუადღეზე.

ამის და მიხედვით მარსის კულმინაციის დრო (უმაღლესი მდებარეობა ცის თაღზე) იცვლება. აგვისტოს ბოლო რიცხვებში მარსი ჩადის დილის ხუთის ნახევარ საათზ მომავალი წლის დასაწყისში კი შუადღეზე.

ასტრონომები ისევ გაფაციცებით მუშაობენ ამ მიმართულებით. მრავალი ასტრონომიული ჰოგრებ ისევ მიპყრობილი იქნებიან ამ საინტერესო პლანეტისაკენ.

სამხედრო ტრიბუნალში.

ექვსი თვე იდეზერტირა.

25 აგვისტოს ტრიბუნალმა თავმჯდომარის დ. ხიხაძის და კოლეგიის წევრების იმნაიშვილის და ქადაგიშვილის შემადგენლობით გაარჩია ცხენ. ლეგიონის წითელ მოლაშქრ ის ექვს თვეზე მეტი ნადეზერტირალის ივანე მელიქ-მურადოვის საქმე.

ბრალდებული მურადოვი გაპარულა სახლში წასულ წლის 28 ნოემბერს და აღარ გამოცხადებულა ა. წ. ივნისამდე. ბრალდებულის განმარტებით, ეს დანაშაული მა ჩაიდინა იმიტომ, რომ ოჯახშ ძლიერ მძიმე მდგომარეობა ჰქონ შექმნილი.

ტრიბუნალმა მას მიუსაჯა ექვს თვის ციხე და 300 მანეთის ღირ ბული ქონების ჩამორთმევა, მაგრა სიღარიბისა გამო კონფისკაცია სრუ ლებით მოხსნეს, სასჯელის ვად უცვლელათ დატოვებით.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

ცხენოსან ლეგიონის წით. მოლაშქრე გრიგოლ ჯალაღანია მიმდინარე წლის 6 ივნისს გაშვებულ იქნა მოკლე ვადიან შვებულებაში, მაგრამ მან გადააცილა კანონიერ ვადას კიდევ ოცი დღე და მხოლოთ მერე გამოცხადდა ნაწილში. აღნიშნული საქციელი მან ახსნა იმ გარემოებით, რომ სახლში მისვლისას იგი გახდა ავათ და ველარ შესძლო უკანვე გამოცხადება. მიუხედავად ამისა მან მაინც ვერ შესძლო სათანადო საბუთების წარდგენა. აღნიშნული ბრალ დება დეზერტირობის შესახებ, სას მართლომ დამტკიცებულათ აღიარ და მიუსაჯა მას სამი თვის ვადი დასასჯელ რაზმში გაგზავნა და 30 მანეთის ქონების ჩამორთმევა. მაგ რამ სასამართლომ მიიღო ბრალდ ბულის ქონებრივი მდგომარეო მხედველობაში და კონფისკაცია აპ ტია სასჯელის უცვლელათ დატო ვებით.

ახალი ამბები.

— **ბინები ტერ-დივიზიის ნაწილებისათვის.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა ნაციონალიზაცია მოუხდინოს ქ. თელავში მოქ. ანდერსიანის შენობას ტერ-დივიზიის ადგილობრივი ნაწილის საჭიროებისათვის.

— **კულტმუშაობა სამეგრელოში.** სამეგრელოში ამჟამად არსებობს 8 თეატრი, 40 წიგნთსაცავ სამკითხველო და მრავალი ეკლესიები გადაკეთებულია ხალხისავე სურვილით კლუბებათ. წერა-კითხვის უცოდინარობა შემცირებულია 75 პროცენტით.

— **კურსები უმუშევართათვის.** საბჭოთა მუშაკების კავშირის მიერ დაარსებულია კურსები უმუშევართათვის, სადაც ასწავლიან მანქანაზე ბეჭვდას რუსულ-ქართულ ენაზე.

— **კურსები მილიციელთათვის.** ბათომში გაიხსნა კურსები მილიციის მოსამსახურეთათვის.

— **საქველმოქმედო მარკები.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების გეგმა, ინვალიდთა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად საქველმოქმედო მარკების გამოშვების შესახებ.

— **გლეხთა სახლი ბორჩალო ში.** ბორჩალოს სამაზრო აღმასკომ გადასდო ადგილობრივ გლეხთა სა ლის ასაშენებლათ 6.000 მანეთი.

— **ყუთების სახელოსნო.** ქუთა ისის სამაზრო გლეხკომმა მოაწყ კარდონის ყუთების სახელოსნო, ს დაც მუშაობენ ინვალიდები და უპ ტრონო ბავშები.

— **სასოფლო-სამეურნეო გად სახადი.** სახალხო კომისართა სა ჭომ დაამტკიცა 1924—25 წლ. ნ ვარაუდევი სასოფლო- სამეურნ გადასახადი 4.712.000 მან. რაო დენობით.

— **სამკურნალო წყლები ლე ხუმში.** წელს გლეხკომების მიე მოწყობილ იქნა და ექსპლოატაცი სწარმოებს სოფ. საირმეს სამკურნ ლო წყლების.

— **წნორის ჭაობების ამოშრო ბა.** ცეკავშირის სიღნაღის განყოფ ლებამ გადასწყვიტა დაიწყოს დღეებში მუშაობა წნორის ახლო მახლო ჭაობების ამოსაშრობათ (ქ ზიყში). ამ მიზნით სამაზრო აღმა კომი უფასოთ გამოიყვანს მუშ ხელს.

ნ. ლ. ს. (ჰ. ტირაჟი 1400 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.